

ლადო პაპავა:

“250 მილიონი ტრანში ერთ თვეში უშედეგოდ დაიხარჯა”

გაზეთი “ვერსია” – 3-4 დეკემბერი, № 142, 2008

აშშ-ში დაწყებული ფინანსური კრიზისი ჯაჭვური რეაქციით მოედო მთელ მსოფლიოს. რუსეთთან ომის შემდეგ პრობლემები საქართველოშიც გაჩნდა. შეჩერდა ინვესტიციები, რიგრიგობით იხურება საწარმოები. როგორი დღეები ელოდება საქართველოს, რა იყო და არის ქვეყნის ეკონომიკაზე პასუხისმგებელი მთავრობის ძირითადი შეცდომები ამ თემებზე „ვერსიას“ დამოუკიდებელი ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში, პროფესორი ლადო პაპავა ესაუბრა.

– ფინანსური „ვირუსით“ პრაქტიკულად, მთელი მსოფლიო დაავადდა. თუმცა კრიზისი სხვადასხვა ქვეყნებზე სხვადასხვანაირად აისახება, იმის მიხედვით, ვინ როგორ არის ინტეგრირებული მსოფლიო ფინანსურ ბაზრებში. საქართველოში ფინანსური ბაზარი საერთოდ განუვითარებელია და მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციაზე ლაპარაკი ზედმეტია, ამდენად, ამ ფინანსური „ვირუსის“ შემოჭრის უშუალო საშიშროება არ არსებობს, თუმცა ირიბად ეს საფეთხე მაინც დადგა, რადგან ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინება შემცირდა. როდესაც მსოფლიოში ფინანსური კრიზისია, ინვესტორებს ზედმეტი თანხების გაღება უჭირთ. ასევე დიდი ოდენობით შემოდიოდა თანხები უცხოეთში მყოფი ჩვენი თანამემამულეებისგან და ესეც შემცირდა. ისეთი ინვესტორებს კი რომლებიც ძირითადად წარმოდგენილი იყვნენ საქართველოში, მაგალითად არაბებს, ნავთობზე ფასის კლების გამო დამატებითი პრობლემები შეექმნათ. ამას დაემატა აგრესია რუსეთის მხრიდან, რომელმაც საქართველოში საინვესტიციო რისკები გაზარდა. ბოლოს და ბოლოს, სარკოზი-მედვედევის გეგმა ბოლომდე შესრულებული არ არის და

საომარი რიტორიკაც არ არის ბოლომდე დასრულებული არც კრემლის და არც თბილისის მხრიდან.

როდესაც ომამდე მეკითხებოდნენ, გაუძლებდა თუ არა საქართველოს ეკონომიკა ომს, ყოველთვის ვამბობდი, რომ მცირევადიან ომს გაუძლებდა და ასეც მოხდა. დღეს ჩვენი ეკონომიკა ისეთ მდგომარეობაშია, რომ მცირე პერიოდთან საომარ მოქმედებებს ნამდვილად ვეღარ გაუძლებს და ეკონომიკური კატასტროფა მოხდება.

– თუ ომი არ იქნება, ჩვენი ეკონომიკა დაძლევეს რთულ პერიოდს?

– დღევანდელ ქართულ ეკონომიკაში რამდენიმე პრობლემა წარმოიქმნა – ერთი, რომ უცხოური ვალუტის შემოდინების გზები შეიზღუდა, სამაგიეროდ, ვალუტის გადინების წყარო, საგარეო ვაჭრობის სახით კვლავ მნიშვნელოვანია. თუ გავითვალისწინებთ, რომ იმპორტი ექსპორტზე 4-ჯერ მეტია, გამოდის, რომ ექსპორტიდან ყოველ შემოსულ ერთ დოლარზე იმპორტისათვის 4 დოლარს ვკარგავთ. ბუნებრივია, ეს სხვაობა რამით უნდა შეივსოს. შევსების წყარო ინვესტიციები და ფულადი გზაწვრილები იყო. სწორედ ამიტომ დადგა ლარის გაცვლით კურსთან დაკავშირებული პრობლემა. ბაზარზე უცხოური ვალუტის შემცირება, მასზე მოთხოვნის გაზრდასა და მის გამყარებას იწვევს. ეროვნული ბანკი იმისთვის არსებობს, რომ ეროვნული ვალუტა უეცარი რყევებისგან დაიცვას და დევალვაციის პროცესი თანდათანობით მოხდეს. კომპანიებისა და ბანკებისთვის ახალ პირობებთან შესაგუებლად გარკვეული პერიოდი აუცილებელია, კრიზისის დროს დანაკარგები ყველას აქვს ხოლმე, მაგრამ ეს არ უნდა იყოს გაკოტრება.

სექტემბრიდან ჩანდა, რომ უცხოური ვალუტის შემოდინება მცირდებოდა. სექტემბრის მეორე ნახევრიდან კომერციული ბანკების მხრიდან პრაქტიკულად მხოლოდ მოთხოვნა იყო დოლარზე, ხოლო მისი ერთადერთი მიმწოდებელი კი ეროვნული ბანკი იყო. ფაქტობრივად 40 დღის განმავლობაში ლარის მხოლოდ 2,5%-იანი დევალვაცია მოხდა, რაზეც ეროვნულმა ბანკმა 300 მილიონი აშშ დოლარი დახარჯა. ეს საკმაოდ დიდი თანხაა 2,5%-იანი დევალვაცია კი შეუმჩნეველი. მაშინ, როცა შესაძლებელი იყო დევალვაციის მაჩვენებელი თანდათანობით 10-12 %-მდე ასულიყო. იმ დახარჯული 300

მილიონიდან 250 მილიონი ის ტრანშია, რომელიც საქართველომ ომის შემდგომი პერიოდისთვის საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტრანშის სახით მიიღო და რამდენიმე თვეზე იყო გაწერილი. ეს თანხა ერთ თვეში დაიხარჯა, თანაც ისე, რომ რეალური შედეგი არ მოუტანია.

ასეთი პოლიტიკა უძღვოდა წინ 2008 წლის 7 ნოემბერს. 7 ნოემბერს კი ძალზე ცუდი რამ მოხდა. ეროვნულმა ბანკმა თითქოს ტექნიკური მიზეზებით საბირჟო ვაჭრობა შეწყვიტა, რამაც პანიკა გამოიწვია. ეს მოხდა კვირის ბოლოს, ყოველგვარი განმარტებების გარეშე. ასე მოუწყო ჩვენმა ხელისუფლებამ საკუთარ ხალხს “მწვანე პარასკევი” “მწვანე ვალუტის” სასარგებლოდ. 10 ნოემბერს გაკეთდა განცხადება, რომ თურმე ეს დაგეგმილი ყოფილა, რაც აბსოლუტური ნონსენსია, იმიტომ რომ თუ დაგეგმილი იყო კვირის დასაწყისში მაინც უნდა მომხდარიყო და იმავე დღეს უნდა აეხსნა ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას, რა მოხდა. და არა სამი დღის დუმილის შემდეგ გაეკეთებინა დაუსაბუთებელი განცხადებები, რომ ეს ფასებზე არ იმოქმედებდა. ბოლოს და ბოლოს ჩვენი ეკონომიკის 80% იმპორტს უკავია და იმპორტული საქონლის ფასის განმსაზღვრელი კი ვალუტის გაცვლითი კურსია.

ფორმალურად, მაგრამ არა შინაარსობრივად, მსგავსი რამ 10 წლის წინ რუსეთის დეფოლტის დროსაც მოხდა, მაშინ საქართველოს ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორი რუსეთი იყო, რომელთანაც ჩაკეტილი საზღვრები ფაქტობრივად არ არსებობდა. ერგნეთიდან და აფხაზეთიდან შემოდის დიდი ოდენობით კონტრაბანდული საქონელი, ვალუტა კი გარდინებოდა. საქართველოში არსებობდა რუსეთის სახედრო-საველე ბანკი. რუსულ სამხედრო ბაზებში ჯდებოდა თვითმფრინავები, რომლებსაც დასტებად ჩამოჰქონდათ გაუფასურებული რუბლი და გაჰქონდათ დოლარი. დღეს დოლარის ნახტომისებური გამყარება მსოფლიოში არსად არ ხდება, ასე რომ ნახტომისებური გამყარების ობიექტური საფუძველი არც საქართველოში იყო. იმ დროს ეროვნულ ბანკს რეზერვები თითქმის არ გააჩნდა. დღეს ეს რეზერვები არსებობს. მაშინ საქართველოს ხელისუფლების დამსახურება ის იყო, რომ არც ერთი ბანკი და კომპანია არ გაკოტრებულა (თუმცა ეს ეროვნული ბანკის “გაკოტრებად” დაგვიჯდა), მაშინ, როცა, ბევრად უფრო ძლიერი რუსული ბანკები

გაკოტრდა. ასე, რკმ 1998 და 2008 წლებს შორის პარალელების გავლება დიდი შეცდომაა!

– არსებობს თუ არა “მწვანე პარასკევის” განმეორების საფეთხე? ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებაში მსგავსი მოლოდინი არსებობს...

– ობიექტურად არ არსებობს, იმიტომ რომ საქართველომ მიიღო 4,5 მილიარდი აშშ დოლარის დახმარების პირობა, გარდა ამისა მილიარდზე მეტია ეროვნული ბანკის რეზერვი. პრაქტიკულად, ასეთი საშიშროება არ უნდა არსებობდეს, თუმცა სუბიექტურად ასეთი საფრთხე მაინც არსებობს, თუნდაც იმიტომ, რომ “მწვანე პარასკევის” გამო არც არავისი პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა.

ბოლო ტენდენცია ბევრად უარესია, ვიდრე 7 ნოემბრამდე. თითქმის ერთი თვეა, ვალუტის კურსი უცვლელია. კურსის უეცარი ცვლილებიდან დაახლოებით 10 დღეში ეროვნულმა ბანკმა კვლავ დაიწყო რეზერვების გაყიდვა და დაახლოებით 55 მილიონი უკვე დახარჯა, თუმცა კურსი კვლავ უცვლელია.

მომავალში ქვეყანაში ლარის დევალვაცია პრაქტიკულად, გარდაუვალია, თუმცა ისევ ის პოლიტიკა, გრძელდება, რაც 7 ნოემბრამდე იყო. ეს შეცდომა კი იმაზე მიუთითებს, რომ შესაძლოა, ხელისუფლებამ “მწვანე პარასკევის” კიდევ გაიმეოროს.

– არამყარი ეროვნული ვალუტა დანარჩენ ეკონომიკაზე როგორ აისახება?

– ფასები უკვე გაიზარდა. გეტყვით რამდენიმე “ანეკდოტურ”, შემთხვევასაც რამდენიმე მეგობარმა ბიზნესმენმა ახალი კონტრაქტი მაჩვენა, სადაც გაცვლითი კურსი მითითებულია 1 აშშ დოლარი – 1,8 ლარი. ასეთი გაცვლითი კურსი დღეს არ არსებობს, მაგრამ თავად მეწარმეები „იჭერენ თადარიგს“ ანუ დევალვაციის “პროვოცირება” ხდება. მეტსაც გეტყვით, უცხოური ტექნიკით მოვაჭრე მაღაზიებში ფასები პირობითი ერთეულებით განისაზღვრება – დოლარში იგულისხმება, (თუმცა დოლარს ვერ აწერენ) და მყიდველები საფასურს ლარში იხდიან. კრედიტის ლარში გაცემას უკვე ბანკებიც გაურბიან, ზოგადად ლარებს კი – კომპანიებიც და მოსახლეობაც.

კომპანიებისთვის აუცილებელია სტაბილურობის განცდა, როდესაც სახელმწიფოს არაპროგნოზირებადი ეკონომიკური პოლიტიკა აქვს, ბუნებრივია ეს ბიზნესის აქტიურობას ზღუდავს.

– **სამშენებლო კომპანიებმა ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ პრობლემები შეექმნათ, გაჩერდა რამდენიმე მსხვილი საწარმო, ინვესტიციები შეაჩერა რამდენიმე ატორიტეტულმა კომპანიამ, მოსალოდნელია კრიზისის კიდევ უფრო გაღრმავება?**

– სამშენებლო ბიზნესი ადრე თუ გვიან მაინც ამ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, იმიტომ რომ ეს უფრო “ჰაერის ბიზნესი” იყო და არარსებულ, გაბერილ ფასებს ემყარებოდა. კრიზისულ მდგომარეობაში ყველაზე თვალსაჩინო ამიტომაც არის ამ ბიზნესის დაზარალება.

– **ვისი პასიხისმგებლობის საკითხი უნდა დამდგარიყო როდესაც პრემიერ-მინისტრი ახალი შეცვლილი იყო და ეროვნულ ბანკს დღესაც პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი მართავს?**

– მჯერა, რაც 7 ნოემბერს მოხდა, მართალია ეროვნულმა ბანკმა განახორციელა, თუმცა სცენარი სხვაგან დაიწერა. არავისი ადვოკატი არ ვარ, მაგრამ ვიცნობ ამაღლობელის, როგორც ეკონომისტის ნაშრომებს არა მხოლოდ ქართული ჟურნალებიდან და შეუძლებელია მას ასეთი შეცდომა დაეშვა. ღრმად ვარ დაწმუნებული, რომ ესეც და ნებისმიერი სხვა სცენარებიც, რომლებიც ქართულ ეკონომიკაში ხორციელდება ხოლმე მთავრობის კანცელარიაში იწერება. თანაც მეტხუთმეტე თვეა, ეროვნულ ბანკს პრეზიდენტი არ ჰყავს და ესეც ხელოვნურად გაწეილი პროცესი მგონია.

– **სამაგიეროდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ყოფილი ხელმძღვანელი კრისტინსენი ბანკების ზედამხედველობის საბჭოს ხელმძღვანელად უპრობლემოდ დაამტკიცეს...**

– ვფიქრობ კრისტინსენი არა მხოლოდ საფინანსო ზედამხედველობაში, არამედ სამთავრობო დერეფნებში, სადაც რეფორმების სცენარები იწერება, საერთოდაც ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა აღმოჩნდა. მის კომპეტენტურობაში არ მინდა ეჭვი შევიტანო, თუმცა ამ შემთხვევაშიც უფრო მგონია, რომ ის “სხვის დაკრულზე ცეკვავს”...

- იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ ყველაფრის ავტორი თავად ხელისუფლებაა და გამოდის, საკუთარი თავი უნდა დასაჯოს?

- ხელისუფლებას თუ სურს საზოგადოების კეთილგანწყობა შეინარჩუნოს და კვლავაც აირჩიონ, პერიოდულად საკუთარი რიგები უნდა “გაწმინდოს”. გარდა ამისა, ბიზნესს მუდმივად სჭირდება განცდა, რომ ხელისუფლება აზრიან პოლიტიკას ახორციელებს. თუნდაც იმიტომ რომ მუდმივად ეჭვები არ აწუხებდეს.

- დღეს მთავრობამ ეკონომიკური რეფორმების ახალი ტალღა წამოიწყო, თქვენი პროგნოზით, რამდენად ეფექტიანი შეიძლება აღმოჩნდეს?

- მთავარია ეს რეფორმები სწორად გატარდეს. მაგალითად დაიწყეს სტატისტიკის რეფორმირება და თავიდანვე არასწორი მიმართულება აირჩიეს. ეს სახელმწიფო ორგანოა, რომელიც სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი ვერ იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ ბიუჯეტიდან ფინანსდება. ის დამოუკიდებელი უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლებისგან და არა საერთოდ ხელისუფლებისგან. თუ პრეზიდენტს სჭირდება იცოდეს, რა ხდება ქვეყნის ეკონომიკაში, ეს სამსახური პრეზიდენტთან უნდა არსებობდეს, ხოლო თუ მას არ აინტერესებს, მაშინ – პარლამენტთან მაინც. ესენი გვთავაზობენ იმ მოდელს რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის შემთხვევაშია. გვეითებით, საზოგადოებრივი მაუწყებელი რა, დამოუკიდებელია? ეს თვალეში ნაცრის შეყრა, ფსევდორეფორმაა. გვექნება ვირტუალურად დამოუკიდებელი სტატისტიკა, მაგრამ მთავრობის ზედამხედველობის ქვეშ. ყველაფერი პიარისთვის კეთდება, იმისთვის, რომ საკუთარი ზრახვები „გააპრაფონ“.

იგივე ხდება კონტროლის პალატის შემთხვევაში. მართალია, კონტროლის პალატა პარლამენტს ექვემდებარება, მაგრამ დღევანდელი პარლამენტიც მთავრობის დანამატია, იმიტომ, რომ იქ რეალური ოპოზიცია არ გვყავს. მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი სხვა რამ არის – იმედი მაქვს სადი აზრი გაიმარჯვებს და კონტროლის პალატას გადასახადის გადამხდელთა შემოწმების საშუალებას არ მისცემენ. ამისთვის არსებობს საგადასახდო სამსახურები, იგივე ფინანსური პოლიცია. თუმცა არ გამიკვირდება, რომ

კონტროლის პალატას მართლაც გაუზარდონ ფუნქციები და კერძო ბიზნესის “დაყაჩაღების” ახალი ინსტიტუტი შექმნან.

– ხელისუფლება თავადაც აცხადებს, რომ მძიმე ზამთარი და გაზაფხული გველის, თქვენი პროგნოზი როგორია?

– უცხოური დახმარება სერიოზული რესურსია ეკონომიკური კატასტროფის ასაცილებლად, მაგრამ მთავარი პრობლემა საკვანძო ადგილებზე პროფრსიონალების არარსებობაა. ამის გარდა მთავრობამ უარი უნდა თქვას იმ ეოლუნტარისტულ პოლიტიკაზე, რასაც ბოლო წლებია, ახორციელებს. როგორც მათ გაუხარდებათ, მათ ბიზნესებს აწყობს, მათ ინტერესებში ზის, ისეთ პოლიტიკას ატარებენ. დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ, სამწუხაროდ, ამ მხრივ არაფერი შეიცვლება. თუმცა, ყველაფერი მაინც იმაზე დამოკიდებული, რამდენად ძლიერი იქნება საერთაშორისო ინსტიტუტების, დონორი ქვეყნების ზეწოლა, რომ საქართველო განვითარების მართლაც დემოკრატიულ გზას დაადგეს.

ლალი ზირაქიშვილი